# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**PGG III: სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში**

**განხორციელების ვადა:** 01.03.2023 - 28.02.2026

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 233 160

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 300 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Council of Europe

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/partnershipgovernance, https://twitter.com/CoeEapPCF

**პროექტის ვებსაიტები:** partnership-governance-eu.coe.int/

**პროექტის აღწერა:**

პროექტი ესწრაფვის, განაგრძოს ქვეყნის მხარდაჭერა ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციის ხელშეწყობის და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ასევე, ხელი შეუწყოს კოორდინაციას და თანამშრომლობას სახელმწიფო ორგანოებს, იურიდიულ და სამართალდამცავ პროფესიონალებს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შიდა სამართლებრივი ჩარჩოების ადაპტირებას და აღნიშნული სტანდარტების გამოყენებას საქართველოში სიძულვილის ენასთან ბრძოლის და პრევენციის მიზნით.
პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ - მესამე ფაზის ფარგლებში. იგი დაეყრდნობა აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციის ხელშეწყობის სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. საქართველოს ინსტიტუციებს და შესაბამის არასახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ სისტემური და კოორდინირებული რეაგირება სიძულვილის ენაზე. აღნიშნული ერთიანი მიდგომა დაეფუძნება საერთო ცნობიერებას სიძულვილის ენის საფრთხეების და გავლენის შესახებ.
2. ადგილობრივ ხელისუფლებას და არასახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ ერთნაირი აღქმა სიძულვილის ენის შესახებ, ასევე იმ საფრთხეების შესახებ, რომელსაც ის უქმნის დაუცველ სიტუაციებში მყოფ ადამიანებს და შესაბამისად, მათ შეეძლებათ რეაგირება მოახდინონ ამ საკითხზე პრევენციისა და დაცვის მექანიზმების გამოყენებით.